პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ სექტემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში (გაზეთი „ბათუმური ქრონიკები“ №49, 14.04. 2009წ., გვ: 6-8) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 2 ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის N1830 ბრძანებით საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადებაზე უფლებამოსილ პირებად განსაზღვრული იქნენ: ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები; ბ) შპს „სანდასუფთავება“-ს თანამშრომლები; გ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე; დ) ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილების დანართი 2-ით (საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)) ითვალისწინებს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით დანართი 2 ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს საჯარიმო ქვითრის (სამართალდარღვევის ოქმის) შედგენას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისი ნორმის საფუძველზე. ცვლილება ითვალისწინებს აგრეთვე დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობის შესახებ განმარტების მიცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილების დანართი 2-ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, კერძოდ, ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული დანართი

2-ით (საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)) ხდება სანქციის შეფარდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისი ნორმის საფუძველზე

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი ხარჯის გაწევა.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილ-ში (ჯარიმის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავალი), ხოლო ხარჯვით ნაწილზე გავლე-ნას არ იქონიებს.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა დაეკისრებათ შესაბამისი სანქცია.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორ-მატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

**ე) პროექტის ავტორი:**

დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინის-ტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი [signature] დავით დუმბაძე

დამტკიცებულია
თვითმმართველ ქალაქ ბათუმის
საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის
№8-1 დადგენილებით.

**ნაწილი I** საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)

სჯ №000000

1. ______________________ 2. ______________________
შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — შედგენის ადგილი

3. ____________________________________________
საჯარიმო ქვითრის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. დამრღვევის: ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის № ______________
და პირადი № ______________________________
ბ) გვარი: ______________________________
გ) სახელი: ______________________________
დ) დაბადების თარიღი: ______________________________
ე) სამუშაო ადგილი: ______________________________
ვ) მისამართი: ______________________________

იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება სრული სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები: ______________________________

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: ______________________________

6.1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
მუხლი: ______________ ნაწილი: ______________
ქვეპუნქტი: ______________

6.2. ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი: ________ ნაწილი: ________
ქვეპუნქტი: ______________

7. მოწმის სახელი, გვარი და მისამართი: ______________________________

8. დაზარალებულის სახელი, გვარი და მისამართი: ______________________________

9. საჯარიმო თანხის ოდენობა: ______________________________
სიტყვიერად, ციფრებით

ბ. ა.

10. მიმღები მოლარე: ______________ ______________
ხელმოწერა — თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

11. საჯარიმო ქვითარს თან ერთვის ______________________________

მოწმე (თუ არის): ______________________________
ხელმოწერა

და ზარალებული (თუ არის): ______________________________
ხელმოწერა

საჯარიმო ქვითრის შემდგენელი: ______________________________
ხელმოწერა

სამართალდამრღვევი: ______________________________
ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმის დადასტურება

12. ჩავიბარე: ------------------------------
(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა, თარიღი)

**ნაწილი II** საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ყუა

სჯ № 000000

1. ______________________
გადამხდელის სახელი, გვარი

2. ______________________
მისამართი

3. ______________________
საჯარიმო თანხის ოდენობა (სიტყვიერად, ციფრებით)

4.1 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

ა) მუხლი (მუხლები): ______________________

ბ) ნაწილი (ნაწილები): ______________________

გ) ქვეპუნქტი (ქვეპუნქტები): ______________________

4.2. ნარჩენების მართვის კოდექსის

ა) მუხლი (მუხლები): ______________________

ბ) ნაწილი (ნაწილები): ______________________

გ) ქვეპუნქტი (ქვეპუნქტები): ______________________

5. ოქმის შემდგენლის

ა) ______________________
სახელი, გვარი

ბ) ______________________
თანამდებობა

გ) ______________________
ხელმოწერა და თარიღი

საბანკო კოდი № ______________________

მიმღები მოლარე: ______________________
ხელმოწერა

თარიღი: ______________________
რიცხვი, თვე, წელი

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | დამამზადებელი: |
| მისამართი: | სფს-ს რეგისტრაციის № |


2
3
1
დამტკიცებულია
თვითმმართველი ქალაქ ბათუმის
საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის
№8-1 დადგენილებით.
ნაწილი I საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)
000000
000000

დამცავი მექანიზმების
ახსნა განმარტება

1. ნომერაცია წითელი ფერით
2. დამცავი ბადე
3. ხაზის მაგივრად მიკროშრიფტი
სადაც იკითხება ქალაქიბათუმი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 5 19 01105603

29/08/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ სულიკო თებიძეს

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25
ტელ.: +995 (422) 27 90 01

ბატონო სულიკო,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში თქვენი N613-12 (23.08.2019) წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N1084080; 23.08.2019) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად განმეორებით შემოვიდა „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა“ და „საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის)“ ფორმათა ნიმუშები.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტების ფორმათა ნიმუშები და მათ ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ უნდა გასწორდეს „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ფორმაში არსებული ერთი პუნქტუაციური ხარვეზი (იხ. დანართი).

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ვაშაკიძე გიორგი